



GEORGIA

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE

სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისა
და მუშაკების ჩართულობის პროექტი
ADVANCING CSO CAPACITIES AND ENGAGING SOCIETY
FOR SUSTAINABILITY (ACCESS)



სამოქალაქო საზოგადოების
რეგიონული ქსელი

REGIONAL CIVIL
SOCIETY NETWORK

რას ითხოვს ამომრჩევლის 54%?

საქართველოს რეგიონებში მცხოვრები ქალი ამომრჩევლების
პრიორიტეტები 2018 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის
არჩევნების წინ

ანგარიში მომზადდა აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის ACCESS-ის პროგრამის
და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, არასამთავრობო ორგანიზაცია სიდა-სა და
სამოქალაქო საზოგადოების რეგიონული ქსელის (R-CSN) მიერ

წინასიტყვაობა

საქართველოს მოსახლეობის 52% და ოფიციალურად რეგისტრირებული ამომრჩევლების 54% ქალია. როგორც სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე¹, ისე ქართული და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების არაერთ კვლევასა და ანგარიშში ხაზგასმულია, რომ საქართველოში ქალთა უფლებების დაცვისა და გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის კუთხით ბევრი რამ არის გასაკეთებელი. სხვადასხვა ქვეყნების, განსაკუთრებით კი ევროპისა და ამერიკის არჩევნების ანალიზისას, ხშირად ვხვდებით არჩევნებში მონაწილე პარტიებისა და კანდიდატების საარჩევნო პროგრამებისა და დაპირებების გენდერულ ჭრილში ანალიზს. ხშირია არჩევნების შედეგების, მათ შორის, არჩევნებზე მისული ელექტორატის გენდერული შემადგენლობის და გამარჯვებულის განსაზღვრაზე ქალი ამომრჩევლებისა და მათი უპირატესობების გავლენის ანალიზიც.

საქართველოში ჩატარებულ არჩევნებთან მიმართებით, ამ ტიპის დისკურსს თითქმის არ ვხვდებით. ქალი ამომრჩევლების პრობლემებსა და მათ უპირატესობების განსაკუთრებული აქცენტები არც 2018 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში იკვეთება. სწორედ, ამ მნიშვნელოვანი ხარვეზის ნაწილობრივ შევსების მცდელობაა სამოქალაქო საზოგადოების რეგიონული ქსელისა (R-CSN) და არასამთავრობო ორგანიზაცია სამოქალაქო განვითარების სააგენტოს (სიდა) მიერ წინასაარჩევნოდ ჩატარებული კვლევა, რომელიც რეგიონებში მცხოვრები ქალი ამომრჩევლების საჭიროებებისა და პრიორიტეტების გამოვლენას მიეძღვნა. კვლევას სამი ძირითადი ამოცანა აქვს: (ა) არჩევნებში მონაწილე პარტიებსა და კანდიდატებს გააცნოს ქალი ამომრჩევლების პრობლემები, (ბ) ცხადყოს გარკვეული სხვაობები ქალი და კაცი ამომრჩევლების პრიორიტეტებს შორის და (გ) შექმნას ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური პროცესის - არჩევნების გენდერულ ჭრილში ანალიზის მაგალითი და ხელი შეუწყოს ამ პრაქტიკის დამკვიდრებას.

კვლევის შედეგად გამოვლენილ პრობლემებზე R-CSN და მისი ცალკეული წევრები არჩევნების შემდეგაც გააგრძელებენ მუშაობას და ეცდებიან, რომ ქალების საჭიროებები და პრიორიტეტები ნათლად აისახოს ადგილობრივი ბიუჯეტებისა და პროგრამების ფორმირების პროცესზე და თვითმმართველობის საქმიანობაზე.

R-CSN-ის შესახებ

R-CSN-ი არის საქართველოს რეგიონებში მოქმედი სამოქალაქო ორგანიზაციებისა და აქტიური მოქალაქეების არაფორმალური გაერთიანება, რომელიც 2012 წელს დაარსდა და დღევანდელი

¹ იხ. საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია 2014-2020 წლებისთვის. სტრატეგიული მიმართულება #14: გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა, ქალთა უფლებების დაცვა და ოჯახში ძალადობასთან ბრძოლა.


მდგომარეობით 64 რეგიონულ ორგანიზაციას აერთიანებს. ქსელს ფასილიტაციას უწევს არასამთავრობო ორგანიზაცია “სიდა”, ხოლო მის საქმიანობასა და ინსტიტუციურ გაძლიერებას ფინანსურად მხარს უჭერს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის ACCESS-ის პროგრამა და ევროკავშირის მისია საქართველოში.

წინასაარჩევნოდ ქალ ამომრჩეველთა პრიორიტეტებზე კვლევის ჩატარება R-CSN-ის წევრთა ერთობლივი კამპანიაა. კვლევა ჩატარდა საქართველოს ათ რეგიონში, 23 რეგიონული სამოქალაქო ორგანიზაციის მონაწილეობით (*კვლევის მონაწილე ორგანიზაციები იხილეთ დანართის სახით*).

კვლევის მეთოდოლოგია

ქალთა პრიორიტეტების იდენტიფიცირებისთვის R-CSN-მა, 2017 წლის სექტემბერში, ჩატარა რაოდენობრივი კვლევა პირისპირ ინტერვიუს მეთოდით. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 1106 რესპოდენტმა. სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ ქალები.

კვლევის ინსტრუმენტად გამოყენებულ იქნა სტრუქტურირებული კითხვარი ღია და დახურული კითხვებით. პრიორიტეტული საკითხები რესპოდენტებმა წინასწარ მომზადებული სიიდან აარჩიეს. ამ სიაში მხოლოდ ის საკითხები იყო შეტანილი, რომლებიც ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციაა. რესპოდენტებს ჰქონდათ „სხვა“ საკითხის დამატების შესაძლებლობაც.



პირითადი შედეგები

რეგიონებში მცხოვრები ქალი ამომრჩევლების მიერ დასახელებული ყველაზე პრობლემური საკითხების პირველი ხუთეული ასე გამოიყურება:

1. გზებისა და ტროტუარების მოწესრიგება
2. სასმელი წყლის ხელმისაწვდომობა
3. პარკების, სკვერებისა და სხვა საჯარო სივრცეების დასუფთავება
4. ბაღებისა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა და გაუმჯობესება
5. ნარჩენების მართვა

გარდა ამისა, პრობლემური საკითხების სიაში მოხვდა უპატრონო ცხოველების პრობლემის მართვა, უსახლკაროები და სოციალურად დაუცველები, და ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობა.

თითოეული ეს საკითხი ქალების მდგომარეობას სპეციფიურად უკავშირდება. მაგალითისთვის, როგორც თავად ქალი რესპონდენტები აღნიშნავენ, საგზაო ინფრასტრუქტურის ნაწილში მათთვის განსაკუთრებით პრობლემურია ტროტუარების სიმცირე და სივიწროვე. ასევე, ზამთარში მოყინვის საწინააღმდეგო ღონისძიებების (დროულად) გაუტარებლობა, რის გამოც ტროტუარებზე უსაფრთხოდ გადაადგილება რთულია, მითუმეტეს მაშინ, როცა ისინი ბავშვებთან ერთად არიან. სასმელი წყლის ხელმისაწვდომობის საკითხი ქალების ტრადიციულ როლთან - „სახლის საქმეებთან“ არის კავშირში. პარკებისა და სკვერების პრობლემა ეკოლოგიასთან, ბავშვების ჯანმრთელობასთან და მათი გართობისთვის საჭირო სივრცეების გაუმართაობა-ნაკლებობასთან არის კავშირში. ბაღებისა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების სიმწირე ან/და გაუმართავი მუშაობა, ბუნებრივია, ბავშვების კეთილდღეობასთან არის კავშირში, თუმცა ამავდროულად ეს გავლენას ახდენს დედების საქმიანობაზეც, როგორც სახლში („სახლის საქმეებთან“ მიმართებით), ისე - სამსახურში. იმის გამო, რომ ბაღების მუშაობის გრაფიკი არ ემთხვევა დედების სამუშაო გრაფიკს (მათ შორის, საჯარო სამსახურში), მათ ხშირად უწევთ სამსახურში დაგვიანება ან/და სამსახურიდან ადრე გამოსვლა.

ქალთა მიმართ ძალადობას რაც შეეხება, იმის მიუხედავად, რომ ეს საკითხი მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციას სცდება, ქალებმა ჩათვალეს, რომ ადგილობრივმა თვითმმართველობებმა მეტად უნდა იზრუნონ ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალების დახმარებაზე, მათ შორის, თავშესაფრებისა და სარეაბილიტაციო ცენტრების მოწყობაზე და სხვა მექანიზმებისა და სერვისების შექმნაზე.

კვლევა შეეხო იმასაც, თუ რა სახის კომუნიკაცია უნდა არსებობდეს არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ პარტიებსა და კანდიდატებს და ქალ ამომრჩევლებს შორის; რას აქცევენ ყურადღებას ქალი ამომრჩევლები არჩევანის გაკეთებისას და როგორ უნდა ხდებოდეს ქალებისთვის პრიორიტეტულ საკითხებზე მუშაობა ადგილობრივ თვითმმართველობებში.

რესპონდენტების 29%-ის სურვილია, რომ პოლიტიკურმა პარტიებმა და საარჩევნო კანდიდატებმა თავად ჰკითხონ ქალებს მათი პრობლემების შესახებ. 28%-ის აზრით ინიციატივა ქალებმა და მოქალაქეთა ჯგუფებმა უნდა აიღონ ხელში. 22% კი ამ როლის შესრულებას არასამთავრობო სექტორს ანდობს.


არჩევნებში მონაწილე პარტიებისა და კანდიდატებისთვის საყურადღებო უნდა იყოს, რომ რესპონდენტთა 67% ფავორიტი პარტიისა თუ კანდიდატის შერჩევისას, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იმას, თუ რომელი პარტია/კანდიდატი ეხმიანება საარჩევნო პროგრამაში ან/და

გამოსვლებში ქალებისთვის მნიშვნელოვან საკითხებს ან/და ქალების უფლებებებთან დაკავშირებულ პრობლემებს. ეს ასპექტი მხედველობაში მისაღები არ არის გამოკითხულთა მხოლოდ 17,5%-სთვის.

კვლევის აღწერა


შერჩევაში მონაწილე ქალების საშუალო ასაკი 40 წელია. ასაკობრივი ჯგუფების განაწილება წარმოდგენილია დიაგრამაზე #1.

დიაგრამა 1: ასაკი




რესპონდენტთა 59% დასაქმებული, ხოლო 41% დაუსაქმებელი ან პენსიონერია.

დიაგრამა 2: დასაქმება




რესპონდენტთა 61% უმაღლესი განათლების მქონე, ხოლო 29% საშუალო განათლების მქონეა.

დიაგრამა 3: განათლება



კვლევა ჩატარდა საქართველოს რეგიონებში. რესპონდენტთა რაოდენობა რეგიონების მიხედვით თანაბრად განაწილდა.

დიაგრამა 4: გეოგრაფიული არეალი




ძირითადი პრობლემები და პრიორიტეტები

რესპონდენტები მათთვის პრიორიტეტულ საკითხებს ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციაში შემავალი საკითხების ჩამონათვალიდან არჩევდნენ. მთლიანი ჩამონათვალიდან მათ სამი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი უნდა შეერჩიათ და თითოეული ამ საკითხისთვის ქულა მიენიჭებინათ.

მინიჭებული ქულების მიხედვით გამოიკვეთა შემდეგი ხუთი პრიორიტეტი: 1) გზებისა და ტროტუარების გაუმჯობესება, 2) სასმელ წყალზე ხელმისაწვდომობა, 3) პარკების, სკვერებისა და საჯარო ადგილების დასუფთავება, 4) ბაღებისა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა და გაუმჯობესება და 5) ნარჩენების მართვა. მესამე და მეოთხე პრიორიტეტებს შორის პროცენტული სხვაობა უმნიშვნელო იყო.

დიაგრამა 5: პრიორიტეტების რანჟირება


გთხოვთ, დაასახელოთ თქვენს ქალაქში/სოფელში ხუთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა (რანჟირება პირველი ხუთეულის მიხედვით)



დასახელების სიხშირის მიხედვით კი მნიშვნელოვანი პრობლემების სია ასე დალაგდა:


დიაგრამა 6: პრიორიტეტები ხმების საერთო რაოდენობის მიხედვით

გთხოვთ, დაასახელოთ თქვენს ქალაქში/სოფელში ხუთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა



რეგიონების მიხედვით შედეგები არა მნიშვნელოვნად, თუმცა მაინც განსხვავდება.

დიაგრამა 7: პრიორიტეტების სამეული რეგიონულ ჭრილში



პრიორიტეტების დასახელებისას რესპონდენტებს ვთხოვდით, განემარტათ, კონკრეტულად რა პრობლემებს აწყდებოდნენ ამ მიმართულებით. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეტანილია ყველაზე ხშირი პასუხები/განმარტებები.

ცხრილი 1: პრიორიტეტული საკითხები და მათი განმარტებები


პრობლემათა განმარტება რესპონდენტთა მიერ
პრობლემა#1 გზები და ტროტუარები
დაზიანებებზე რეაგირების არაეფექტური მექანიზმები
სეზონური პრობლემები (ზამთარში მოყინვის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება)
გზების სივიწროვე (მანქანებს და მოსახლეობას უჭირს მოძრაობა)
მხოლოდ ცენტრალური ქუჩების მოწესრიგება
სანიაღვრე არხებისა და ცხაურების გაუმართაობა
ტროტუარების სიმცირე
საგზაო ნიშნების არარსებობა/სიმცირე
პარკირების პრობლემა
პრობლემა#2 პარკები, სკვერები და საჯარო ადგილები
პარკებისა და სკვერების დაბინძურება
გარე განათების არარსებობა ან/და გაუმართაობა
სკვერების სიმცირე/არარსებობა
ხეების დარგვა, სკამების დადგმა სკვერებში
საბავშვო გასართობი ატრაქციონების არარსებობა ან/და გაუმართაობა
საზოგადოებრივი ტუალეტების არარსებობა
პრობლემა#3 სასმელი წყალი
სასმელ წყალზე ხელმისაწვდომობის პრობლემა
სუფთა წყლის პრობლემა
წყლის გრაფიკით მიწოდების პრობლემა
სასმელი წყლის სათავე ნაგებობის გაუმართაობა
წყლის მრიცხველები გაუმართაობა (არასწორი ხარჯთაღრიცხვა)
პრობლემა#4 ბაღები და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები
ბაღებსა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ბავშვების სიმრავლე და თანამშრომელთა ნაკლებობა
ბაღების არასაკმარისი რაოდენობა
ჯგუფებში ბავშვთა სიმრავლე
ბაღების სიმორე და შესაბამისი ტრანსპორტის არარსებობა
ბაღების მუშაობის გრაფიკი (ბაღების სამუშაო საათები არ ემთხვევა საჯარო სამსახურში სამუშაო საათებს; ზამთრისა და ზაფხულის არდადეგების პერიოდში სოფლის მოსახლეობისთვის არ არის ხელმისაწვდომი სკოლამდელი დაწესებულებების მომსახურება)
ბაღებში გათბობის სისტემების გაუმართაობა
ბაღების შენობების აშენება-მოწყობისას შესაბამისი სტანდარტების უგულვებელყოფა
ბაღებში ჰიგიენის დაცვისა და კვების პრობლემები
ბაღებში პედაგოგთა არასაკმარისი მომზადება (შესაცვლელია მათი დამოკიდებულება აღსაზრდელებისადმი)

საბავშვო ბაღების მოწყობა/მოდველებული ინვენტარი
ბაღებში პედაგოგთა დაბალი ხელფასები
ბაღებში სამუშაო გრაფიკის ხშირი დარღვევები (გვიან დაწყება/გაღება და დროზე ადრე დამთავრება/დახურვა)
პრობლემა#5 ნარჩენების მართვა
ნარჩენების გროვები საჯარო სივრცეებში (მათი დაგვიანებით გატანა)
ურნების სიმცირე
ნარჩენების დახარისხების სისტემის არარსებობა
ნარჩენების მართვის სისტემის არარსებობა
არალეგალური ნაგავსაყრელების სიმრავლე
პრობლემა#6 უპატრონო ცხოველები
მოსახლეობისთვის საშიში უპატრონო ცხოველების სიმრავლე
უპატრონო ცხოველების აცრის სისტემის გაუმართაობა
უპატრონო ცხოველებისთვის მოწყობილი სპეციალური თავშესაფრ(ებ)ის არარსებობა
უპატრონო ცხოველებისადმი უდიერი დამოკიდებულება (დახოცვა)
პრობლემა#7 ბიბლიოთეკები, მუზეუმები და გასართობი ადგილები
ასეთი ადგილების სიმცირე/არარსებობა
ბიბლიოთეკების, მუზეუმებისა და სხვა კულტურული/გასართობი ადგილების გაუმართაობა
ბევრ ქალაქში/სოფელში ბიბლიოთეკების არარსებობა
ბიბლიოთეკების მატერიალურ-ტექნიკური ბაზების სიმწირე
პრობლემა#8 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ბავშვები და მოხუცები
შშმ პირების დახმარების პროგრამების არარსებობა (შშმ პირებზე არავინ ზრუნავს)
შშმ პირების მიმართ არასაკმარისი ყურადღება
შშმ პირებისთვის გარემოს ადაპტირების პრობლემა
შშმ ბავშვებისთვის გასართობი ადგილების/მოწყობილობის არარსებობა
შშმ პირების, ბავშვების და მოხუცების სამედიცინო მომსახურების არარსებობა/გაუმართაობა
შშმ პირებისთვის ადაპტირებული საზოგადოებრივი ტრანსპორტის არარსებობა
შშმ პირებისთვის განკუთვნილი სოციალური დახმარებების/პროგრამების სიმწირე
შშმ პირების სოციალიზაციისა და დასაქმების პრობლემები
შშმ ბავშვებისა და მათი მშობლებისთვის განკუთვნილი სარეაბილიტაციო ცენტრების (მათ შორის, ფსიქოლოგიური დახმარების) არარსებობა/სიმწირე
პრობლემა#9 უსახლკაროები და სოციალურად დაუცველები
უსამართლოდ მოხსნილი სოციალური დახმარებები
სოციალური დახმარების სიმცირე
სოციალურად დაუცველთა ბაზის და სარეიტინგო ქულების სისტემის გაუმართაობა
სოციალურად დაუცველი ქალებისთვის არახელმისაწვდომი მედიკამენტები, პირადი ჰიგიენის საგნები, კვების პროდუქტები
სოციალურად დაუცველი პირების დასაქმების პრობლემა
სოციალურად დაუცველი პირებისთვის თავშესაფრის/საცხოვრისის არარსებობა
პრობლემა#10 ქალების რეპროდუქციული ჯანმრთელობა

კონსულტაციებისა და გამოკვლევების ხელმისაწვდომობის პრობლემა
სათანადო კვალიფიკაციისა და კომპეტენციის მემპროსონალის დეფიციტი
ხარისხიანი გამოკვლევების ჩატარების შეუძლებლობა
სქრინინგის ხელმისაწვდომობის პრობლემა (მათ შორის, სქრინინგის ასაკობრივი ზღვრები)
გეგმიური შემოწმებების სიმწირე
სამედიცინო პუნქტების არარსებობა ან/და სიმცირე
შესაბამისი ტექნიკისა და აპარატურის არარსებობა რეგიონულ საავადმყოფოებში
სადაზღვევო პაკეტის ხელმისაწვდომობის პრობლემა
პრობლემა#11 ოჯახში ძალადობა და ქალთა მიმართ ძალადობა
ძალადობის ფაქტების სიხშირე
ფსიქოლოგიური ძალადობის შესახებ მოსახლეობის არასაკმარისი ინფორმირება
ძალადობის შემთხვევებზე რეაგირების მექანიზმის არაეფექტიანობა
უნდობლობა პოლიციის მიმართ (მათ შორის, ანონიმურობის არასათანადოდ დაცვის გამო)
ქალთა ინფორმირებულობის დაბალი დონე
ადრეული ქორწინების პრობლემა
ოჯახში ძალადობის მსხვერპლისთვის თავშესაფრის ან/და სარეაბილიტაციო ცენტრების არარსებობა რეგიონებში
ქალების უფლებების მიმართ გულგრილობა

რეპონდენტებს ვკითხეთ ისიც, თუ როგორ უნდა მივაწოდოთ პოლიტიკურ პარტიებს და საარჩევნო კანდიდატებს ინფორმაცია ამ პრობლემების შესახებ. მათი უმეტესობა (29%) თვლის, რომ პოლიტიკურმა პარტიებმა და საარჩევნო კანდიდატებმა ასეთი პრობლემების შესახებ თავად უნდა ჰკითხოთ ხალხს. დაახლოებით იგივე რაოდენობა (28%) თვლის, რომ ამ პროცესში წამყვანი როლი ქალებმა უნდა შეასრულონ. 22%-ის აზრით კი ეს სამუშაო არასამთავრობო ორგანიზაციებმა უნდა შეასრულონ.


დიაგრამა 8: თქვენი აზრით, როგორ უნდა მივაწოდოთ პოლიტიკურ პარტიებს და საარჩევნო კანდიდატებს ინფორმაცია ქალებისთვის პრიორიტეტულ საკითხებზე



ამ საკითხთან დაკავშირებით სურათი დიდწილად ერთგვაროვანია რეგიონების ჭრილში. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ იმერეთი და რაჭა-ლეჩხუმი. თუ ყველა სხვა რეგიონში პასუხებში პირველ ადგილს პარტიები და კანდიდატები იკავებს (29%), იმერეთში პირველ ადგილზე არასამთავრობო ორგანიზაციები (29%), ხოლო რაჭა-ლეჩხუმში - ქალები და მოქალაქეთა ჯგუფებია (35%).


ზოგადად, რესპონდენტთა უმეტესობა თვლის, რომ ქალებისთვის პრიორიტეტული საკითხები საკრებულო სხდომების დღის წესრიგში საკრებულოს წევრებმა უნდა დააყენონ. აღსანიშნავია, რომ ქალებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების ინიცირებაში გენდერული საბჭოების როლს რესპონდენტთა ყველაზე მცირე ნაწილი (10,5%) ხედავს.

დიაგრამა 9: თქვენი აზრით, როგორ უნდა მოგვარდეს ქალებისთვის პრიორიტეტული საკითხები და საჭიროებები თქვენს ქალაქში/სოფელში



რეგიონების მიხედვით მცირე განსხვავებებია ქალებისთვის პრიორიტეტული საკითხების წამოჭრის გზებთან დაკავშირებით. სამცხე-ჯავახეთსა და მცხეთა-მთიანეთში ქალების უმეტესობა თვლის, რომ ეს საკითხები არასამთავრობო ორგანიზაციებმა უნდა დააყენონ საკრებულოს სხდომებზე. სამეგრელოში, შიდა ქართლში, კახეთში და აჭარაში გამოკითხულები თვითონ ქალების მეტი აქტიურობის საჭიროებას ხედავენ, ხოლო რაჭა-ლეჩხუმში, გურიაში, იმერეთსა და ქვემო ქართლში ამ პასუხისმგებლობას საკრებულოს წევრებს აკისრებენ. აღნიშნული შედეგი, საბჭოების არსებობის და ფუნქციების შესახებ, აღნიშნულ რეგიონებში ინფორმირებულობაზეც მიუთითებს.


დიაგრამა 10: თქვენი აზრით, როგორ უნდა მოგვარდეს ქალებისთვის პრიორიტეტული საკითხები და საჭიროებები თქვენს ქალაქში/სოფელში (რეგიონის ჭრილი).



რესპონდენტთა 67% დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ან აუცილებლად მიანიჭებს მნიშვნელობას ხმის მიცემისას იმ კანდიდატს ან/და პარტიას, რომელიც საარჩევნო პროგრამაში ან/და


გამოსვლებში ქალებისთვის მნიშვნელოვან პრობლემებს ან/და ქალების უფლებებებთან დაკავშირებულ პრობლემებს ეხმიანება. ეს თემა რესპონდენტთა მხოლოდ 17,5%-სთვის არ არის პრიორიტეტული.

დიაგრამა 11: ანიჭებთ თუ არა უპირატესობას იმ კანდიდატს და/ან პარტიას, რომელიც საარჩევნო პროგრამაში ან/და საარჩევნო გამოსვლებში ქალებისთვის მნიშვნელოვან პრობლემებს ან/და ქალების უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებს ეხმიანება



თუ განვიხილავთ სხვაობას საშუალო მაჩვენებლებს შორის, მცირე განსხვავებებია რეგიონების პასუხებში კითხვაზე „ანიჭებთ თუ არა უპირატესობას იმ კანდიდატს და/ან პარტიას, რომელიც საარჩევნო პროგრამაში ან/და საარჩევნო გამოსვლებში ქალებისთვის მნიშვნელოვან პრობლემებს ან/და ქალების უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებს ეხმიანება“ პასუხებს შორის. ყველაზე მეტად არჩევანის გაკეთებისას აღნიშნულ საკითხს უპირატესობას სამცხე-ჯავახეთში ანიჭებენ, ხოლო ყველაზე ნაკლებად - ქვემო ქართლში.

დიაგრამა 12: ანიჭებთ თუ არა უპირატესობას იმ კანდიდატს და/ან პარტიას, რომელიც საარჩევნო პროგრამაში ან/და საარჩევნო გამოსვლებში ქალებისთვის მნიშვნელოვან პრობლემებს ან/და ქალების უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებს ეხმიანება. რეგიონის კრილი. საშუალოების შედარება ხუთბალიან აღმავალ სკალაზე



დანართები:

1. კითხვარი

1. გთხოვთ, დაასახელოთ თქვენს ქალაქში/სოფელში სამი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა, რაც აწუხებთ ქალებს. პასუხები დაალაგეთ რიგის მიხედვით (1, 2 და 3), სადაც 1 ნიშნავს

ყველაზე პრიორიტეტულს:

- გზები და ტროტუარები
- პარკები, სკვერები და სხვა საჯარო ადგილები, გამწვანება, გარე განათება
- სასმელი წყალი
- ბალისა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები
- ნარჩენების მართვა
- უპატრონო ცხოველები
- ბიბლიოთეკები, მუზეუმები, გასართობი და დასასვენებელი ადგილები
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ბავშვები და მოხუცები
- უსახლკაროები და სოციალურად დაუცველები
- ქალების რეპროდუქციული ჯანმრთელობა
- ოჯახში ძალადობა და ქალთა მიმართ ძალადობა
- სხვა

2. გთხოვთ, გვითხრათ, კონკრეტულად რა საკითხებს გულისხმობთ თქვენს მიერ დასახელებულ პრობლემებში/პრიორიტეტებში:

I. პირველი პრობლემა/პრიორიტეტი

კონკრეტული საკითხი _____

II. მეორე პრობლემა/პრიორიტეტი

კონკრეტული საკითხი _____

III. მესამე პრობლემა/ პრიორიტეტი

კონკრეტული საკითხი _____

3. თქვენი აზრით, როგორ უნდა მივაწოდოთ პოლიტიკურ პარტიებსა და საარჩევნო კანდიდატებს ინფორმაცია ამ პრობლემების შესახებ?

აირჩიეთ მხოლოდ ერთი ვარიანტი

- პარტიებმა და კანდიდატებმა თავად ჰკითხონ ქალებს
- ქალებმა და მოქალაქეთა ჯგუფებმა მიაწოდონ ინფორმაცია
- არასამთავრობო ორგანიზაციებმა მიაწოდონ ინფორმაცია
- გენდერულმა საბჭოებმა მიაწოდონ ინფორმაცია
- სხვა
- არ ვიცი, მიჭირს პასუხის გაცემა

4. თქვენი აზრით, როგორ უნდა მოგვარდეს ქალებისთვის პრიორიტეტული საკითხები და

საჭიროებები თქვენს ქალაქში/სოფელში?

- თავად ქალებმა დააყენონ ეს საკითხები საკრებულოს სხდომებზე
- არასამთავრობო ორგანიზაციებმა დააყენონ ეს საკითხები საკრებულოს სხდომებზე
- გენდერულმა საბჭომ დააყენოს ეს საკითხები საკრებულოს სხდომებზე
- საკრებულოს წევრებმა თავად დააყენონ ეს საკითხები სხდომებზე
- სხვა
- არ ვიცი, მიჭირს პასუხის გაცემა

5. ანიჭებთ თუ არა უპირატესობას იმ კანდიდატს და/ან პარტიას, რომელიც საარჩევნო პროგრამაში ან/და გამოსვლებში ქალებისთვის მნიშვნელოვან პრობლემებს ან/და ქალების უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებს ეხმიანება?

გამოიყენეთ ქვემოთ მითითებული შკალა:

- 1 (არ ვანიჭებ მნიშვნელობას)
- 2 (ცოტა მნიშვნელობას ვანიჭებ)
- 3 (შეიძლება მივანიჭო მნიშვნელობა)
- 4 (დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ)
- 5 (აუცილებლად ვანიჭებ მნიშვნელობას)
- 6 არ ვიცი

დემოგრაფიული მონაცემები

ასაკი _____
 განათლება _____
 დასაქმებული/დაუსაქმებელი
 საცხოვრებელი (ქალაქი/სოფელი) _____

2. კამპანიაში ჩართული R-CSN-ის წევრი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები რეგიონების მიხედვით

რეგიონი	მუნიციპალიტეტი	ორგანიზაცია
ქვემო ქართლი	რუსთავი	1. სამოქალაქო განვითარების სააგენტო (სიდა)
	მარნეული	2. მარნეულის დემოკრატი ქალთა საზოგადოება
	ბოლნისი	3. ქვემო ქართლის საზოგადოებრივ-საინფორმაციო ცენტრი
		4. ბოლნისის ენის სახლი

მცხეთა- მთიანეთი	მცხეთა	5. ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი: მცხეთა- მთიანეთის რეგიონული კომიტეტი
	დუშეთი	6. დუშეთის განვითარების ფონდი
	სტეფანწმინდა	7. მთის განვითარების ცენტრი
შიდა ქართლი	გორი	8. მეგობრობის ხიდი “ქართლოსი”
		9. საზოგადოება "ბილიკი"
კახეთი	ლაგოდეხი	10. საქართველოს სამოქალაქო განვითარების ასოციაცია
	თელავი	11. რეგიონის განვითარების ცენტრი
	საგარეჯო	12. ასოციაცია „სპექტრი“
სამცხე ჯავახეთი	ახალციხე	13. ახალციხის ახალგაზრდული ცენტრი
		14. დემოკრატი მესხთა კავშირი
	ნინოწმინდა	15. მშვიდობის ქარტია
იმერეთი	ხარაგაული	16. საზოგადოებრივი მონიტორინგისა და კვლევის ცენტრი
	ქუთაისი	17. ნაბიჯი ხარაგაული
	ჭიათურა	18. ჭიათურელთა კავშირი
სამეგრელო- ზემო სვანეთი	ხოზი	19. ასოციაცია „ათინათი“
	ზუგდიდი	20. ასოციაცია „დეა“
რაჭა ლეჩხუმი ქვემო სვანეთი	ამბროლაური	21. რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის თვითმმართველობის რესურსცენტრი
გურია	ლანჩხუთი	22. ლანჩხუთის საინფორმაციო ცენტრი
აჭარა	ბათუმი	23. დემოკრატიის ინსტიტუტი